

შპს მჭედელი

(შპს მშენ-სერვის ჯორჯია 21)

ს/კ 445384897

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

შპს მჭედელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	2020	2019
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	46 077	77 843
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	307 140	192 791
გადახდილი ავანსები	225 585	157 387
მზა პროდუქცია	1 378 740	1 047 242
სულ მოკლევადიანი აქტივები	1 957 542	1 475 263
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4 261	5 295
სულ გრძელვადიანი აქტივები	4 261	5 295
სულ აქტივები	1 961 803	1 480 558

კაპიტალი და ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 073	215
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9 324	64 396
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	10 397	64 611
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული გრძელვადიანი სესხები	434 430	502 511
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	434 430	502 511
სულ ვალდებულებები	444 827	567 122

კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება	1 236 510	632 970
საწესდებო კაპიტალი	280 466	280 466
სულ კაპიტალი	1 516 976	913 436

სულ ვალდებულებები და კაპიტალი

1 961 803 1 480 558

[Handwritten signature]



შპს მჭედელი

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის (ლარში)

	2020	2019
შემოსავალი	2 667 715	2 271 602
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,537,854)	(1,375,253)
საერთო მოგება	1 129 861	896 349
სხვა შემოსავალი	38 459	17 521
დასაქმებულთა ანაზღაურება	(74 400)	(88 572)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1 034)	(1 034)
საპროცენტო ხარჯი	(27 346)	(46 543)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(38 478)	(52 320)
სულ საოპერაციო მოგება	1 005 062	701 401
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(116 817)	(54 839)
სულ მოგება დაბეგვრამდე	888 245	646 562
მოგების გადასახადი	(42 705)	(53 117)
მოგება (ზარალი)	845 540	593 445

Handwritten signature



შპს მჭედელი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო

წლისათვის (ლარში)

	საწესდებო	გაუნაწილებელი	სულ
	კაპიტალი	მოგება	კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	280 466	632 970	913 436
გაუნაწილებელი მოგება	0	845 540	845 540
განაწილებული დივიდენდი	0	(242 000)	(242000)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	280 466	1 236 510	1 516 976



შპს მჭედელი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო

წლისათვის (ლარში)

	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(31 766)
წმინდა ფულადი საინვესტიციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის გვეივალენტებში	(31 766)
სავალუტო კურსის ეფექტი	0
ფული და ფულის გვეივალენტები წლის დასაწყისში	77 843
ფული და ფულის გვეივალენტები წლის ბოლოს	46 077

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო

წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მჭედელი დაარსდა 2010 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თავდაპირველად შპს სახელწოდება იყო მშენ-სერვის ჯორჯია 21, ხოლო 2021 წლის 12 მარტს შეეცვალა სახელწოდება და გახდა მჭედელი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა სანტექნიკური-სამშენებლო მასალების იმპორტი და რეალიზაცია

კომპანიის დირექტორია ვლადიმერ ზოიძე

კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 445384897

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ.ბათუმი ხიმშიაშვილის N89

კომპანიას არ გააჩნია შეიღობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ

ანგარიშგებას წარმოადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია

კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.

2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის

მფლობელია:

	2020	2019
ვლადიმერ ზოიძე	100%	100%





2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

- ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბაზისზე მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებდა მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლამდე არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში, აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენების და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

- ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომირილებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 2020 წლის 31 დეკემბრისათვის:

ამერიკული დოლარი - 3,2766 და ევრო 4,0233

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურებისა და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი, ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალურ მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის ხარჯს, ტრანსპორტირების ხარჯს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს, დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯს, და სხვა ყველა იმ დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამოიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისათვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდი ფასს შორის.

ავტოსატრასპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

- არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალურ აქტივებს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერთიანებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად.

- ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, მონტაჟის ხარჯებს და აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ

მოსაყვანად, იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ზარალების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

ცვეთის აღიარება მოგება/ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების საერაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 5%

მანქანა-დანადგარები - 10-15%

ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა 15-20%

სატრანსპორტო საშუალებები 15-20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების და მისი ნებისმიერ მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

- სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული მომსახურებისა და მოწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოქმედებისათვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და კრედიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო

თარიღისათვის არსებული საგალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი შესაბამისად აისახება კომპანიის მოგება/ზარალში.

- პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევსებების და ავადმყოფობების ანაზღაურებები, ზონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისი მიღება თანამშრომლის მიერ

- სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება რეალური ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება/ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული ხარჯი.

კომპანია სესხის აღიარებას წვევტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში აღებული სასესხო ვალდებულებების გადაფასება ხდება საანგარიშგებო წლის ბოლოს დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით, სხვაობა აღიარდება დაუყოვნებლივ შესაბამისი პერიოდის მოგება/ზარალში.

- შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს
 - შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა
 - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს
 - შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა
- ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება

- საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწედეზო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება, კომპანიის წესდებში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება და დგება შესაბამისი კრების ოქში.

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში. დივიდენდის გაცემა ხდება პერიოდულად დამფუძნებლის მოთხოვნის შესაბამისად.

- დივიდენდის განაწილება

დივიდენდის განაწილება ხდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან და შესაბამისად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაიხდება საშემოსავლო გადასახადი.

- მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გაცემის საანგარიშგებო თვეში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები მოგების გადასახადით იბეგრებიან თუ მოხდა მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა). შესაბამისად პარტნიორთა გადაწყვეტილებით როცა მოხდება დივიდენდის გაცემა გაუნაწილებელი მოგებიდან, მოხდება მოგების გადასახადის აღიარებაც.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020
ნაღდი ფული საღაროში	37 187
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8 890
	46 077

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ბანკში და ვითიზი ბანკში. კომპანიას არარეზიდენტ ბანკებში ანგარიშები არ აქვს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020

სავაჭრო მოთხოვნები	307 140
სხვა მოთხოვნები	0
	307 140

სავაჭრო მოთხოვნების ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან და ყველა დებიტორი არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული ან ფიზიკური პირი.

გადახდილი ავანსები

2020

გადახდილი ავანსები	225 585
სხვა	0
	225 585

კომპანიის მიერ ავანსი გადახდილია უცხოურ მომწოდებელზე და შესაბამისი გადარიცხვის კურსით აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში

მარაგები

	2020
მარაგები	1 378 740
სხვა მიმდინარე აქტივები	0
	1 378 740

მარაგების მოიცავს მთლიანად საქონელს, რომელიც შზად არის სარეალიზაციოდ

ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

2020

ძირითადი საშუალებები	4261
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0
	4261

კომპანიას გააჩნია იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი, რომლის რემონტი თვითონ გააკეთა და შესაბამისად აღრიცხულია როგორც ძირითადი საშუალება, და ერიცხება ცვეთა

სავაჭრო ვალდებულებები

	2020
სავაჭრო ვალდებულებები	1073
სხვა ვალდებულებები	9324
	10397

სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. ყველა ვალდებულება არის მოკლევადიანი და გადასახდელია 2021 წელს. სხვა ვალდებულებები მოიცავს საგადასახადო ვალდებულებებს

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2020
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	434 430
სხვა ვალდებულებები	0
	434 430

სესხი მიღებულია სს ვითიზი ბანკისაგან დოლარში, წლიური 6 % საპროცენტო განაკვეთით.

საკუთარი კაპიტალი

	2020
საწესდებო კაპიტალი	280 466
გაუნაწილებელი მოგება	1 236 510
	1 516 976

გაუნაწილებელი მოგება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 603 540 ლარით.

საქმიანობის შედეგების (მოგება/ზარალის) ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები

ძირითადი შემოსავლები

	2020
საქონლის გაყიდვიდან	2 667 715
მომსახურების გაწევიდან	0
	2 667 715

კომპანიის საქონელს წარმოადგენს სანტექნიკური-სამშენებლო მასალების იმპორტი და რეალიზაცია. აღნიშნული შემოსავალი მთლიანად მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1 537 854
	1 537 854

პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს გაყიდული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჯამს

სხვა შემოსავალი

	2020
სხვა შემოსავალი	38 459
	38 459

სხვა შემოსავალი მოიცავს კურსთაშორის სხვაობით მიღებულ სარგებელს

ხარჯები

	2020
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	74 400
ცვეთა და ამორტიზაცია	1 034
საპროცენტო ხარჯი	27 346
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	38 478
	141 259

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცავს

	2020
საწვავი სატრანსპორტო საშუალებებზე	10711
საიჯარო ქირა	22000
დაცვის ხარჯი	814
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	128
ინტერნეტის ხარჯი	710
აიტი მომსახურების ხარჯი	521
სარეკლამო ხარჯი	218
საბანკო მომსახურება	3376
	38 478

ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია თავისი საქმიანობის განხორციელებისას ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:


- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ დებიტორები მთლიანად არ გადაიხდის მიწოდებული საქონლის საფასურს ან ნაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისთვის ზარალს
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას.
- სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც კომპანიის მოგება-ზარალის გაანგარიშებაში ასევე პროდუქციის თვითღირებულების ცვლილებას და ზოგადად ბაზრის კონიუქტურის ცვლილებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ განვითარებული მოვლენები

2020 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს მჭედელი
ს/ნ 445384897

დირექტორი: ვლადიმერ ზოიძე



მთ.ბუღალტერი: გიორგი ფუტყარაძე

